ხაშურის მოამბე

№4 (286) 22 თებერვალი, ორშაბათი, 2021 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 2021“ იწყება

პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები 2021 წლის 22 თებერვლიდან - 25 თებერვლის ჩათვლით, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით გაიმართება.

შეხვედრები COVID 19-ის პრევენციის მიზნით გაცემული რეკომენდაციების დაცვით ჩატარდება.

დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ გვერდზე:

http://khashuri.gov.ge/..

ხაშურში, ახალი ბანას მიმდებარე ტერიტორიაზე, პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა მიმდინარეობს

ხაშურში, ახალი ბანას მიმდებარე ტერიტორიაზე პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა მიმდინარეობს. სასწავლებელი გათვლილია 150 მოსწავლეზე.

თანამედროვე ტიპის სამსართულიან შენობაში იფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის ტექნიკის, ელექტრომექანიკის, ავტოსატრანსპორტო, სამშენებლო საქმის, სატყეო საქმის, მეფუტკრეობისა და კულინარიის სახელოსნოები. შენობაში, ასევე, თავმოყრილი იქნება სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ადაპტირებული სველი წერტილები და სასპორტო მოედანი. პროფესიულ სასწავლებელი აღჭურვილი იქნება გათბობა-გაგრილებისა და ვენტილაციის ცენტრალური სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს, წლის ნებისმიერ დროს, სწავლისთვის საჭირო კლიმატის შექმნას. შენობა ასევე აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით.

პროექტს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს.

ხაშურის რეფერალური ჰოსპიტალი კოვიდ - 19 -ის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებით მონაწილეობს

ხაშურის რეფერალური ჰოსპიტალი ერთ-ერთი ის სამედიცინო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც კოვიდ 19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო. ჰოსპიტალმა ჰიბრიდ-კლინიკის სტატუსი 2020 წლის 25 ნოემბერს

მიიღო და ინფიცირებულ პაციენტებს, როგორც კლინიკის დირექტორმა, კახა ხელაძემ აღნიშნა, ნოემბერში, კოვიდ-პაციენტების რაოდენობის მკვეთრად ზრდის ფონზე, ხაშურის რეფერალურმა ჰოსპიტალმა სახელმწიფოს საკუთარი რესურსი შესთავაზა. უსაფრთხოების პროტოკოლის გაძლიერების მიზნით, ჰოსპიტალში მოეწყო იზოლირებული შესასვლელი და გამოიყო 12 საწოლი. სულ მკურნალობა 85 კოვიდ-პაციენტს ჩაუტარდა. მათგან 11 შემთხვევაში მდგომარეობის დამძიმება დაფიქსირდა, გარდაიცვალა თანმხლები დაავადებების მქონე 1 ადამიანი. რა გზა განვლო კლინიკამ პანდემიის პერიოდში და როგორ აფასებს შედეგებს ჰოსპიტლის დირექტორი - დეტალებზე კახა ხელაძე საუბრობს.

„ჩვენი კლინიკა კოვიდ-პაციენტების მართვაში ნოემბრის მიწურულს ჩაერთო. ჰოსპიტალის ნაწილი ჰიბრიდ-ცენტრად უმოკლეს დროში გადაეწყო, მომზადდა ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა, გამოიყო 12 საწოლი და ინფიცირებულების მართვის პროცესში ჩაერთო გადამზადებული მედპერსონალი. სტაციონირების საჭიროების შემთხვევაში პაციენტებისთვის ბოქსირებული განყოფილება, ე.წ. ცხელების ზონა იყო გამოყოფილი. სულ 85 კოვიდ-პაციენტი გავატარეთ. არ დაფიქსირებულა ვირუსის შიდა გადაცემის ფაქტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში ამბულატორიული,

(დასასრული VI გვერდზე)

ქვიშხეთი - ტაშისკარი ერთმანეთთან კეთილმოწყობილი გზით დაკავშირდებიან

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვიშხეთიდან სოფელ ტაშისკრამდე მისასვლელი გზის მშენებლობა მიმდინარეობს, ამ ეტაპზე ქვიშხეთი-ტაშისკრის დამაკავშირებელი ხიდის მოწყობა ხორციელდება.

სამუშაოები მთლიანად ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 1066884 ლარს შეადგენს.

ანგარიში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული სამუშაოების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური, როგორც მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდას.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების და ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის დეპარტამენტის - ჰარმონიზაციის ცენტრის - მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების, მეთოდური მითითებების, სტანდარტებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

სამსახურის საშტატო განრიგი შედგება, სამსახურის ხელმძღვანელისა და 2 მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტისაგან. საანგარიშო პერიოდში მუშაობა ხორციელდებოდა ხელმძღვანელისა და ერთი უფროსი სპეციალისტის მიერ, ვინაიდან ერთი საშტატო ერთეული ვაკანტური იყო თითქმის მთელი წლის განმავლობაში.

საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების აუდიტორული შემოწმებები, როგორიცაა ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა“, ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“, ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“, აგრეთვე მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული პროგრამებისა და ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მიერ განხორციელებული სამუშაოების აუდიტორული შემოწმებები.

ზემოთ აღნიშნულ ობიექტებში ჩატარდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტები.

საანგარიშო პერიოდში აუდიტორული შემოწმებები წარიმართა შიდა აუდიტის სამსახურის 2019 წლის 25 დეკემბერს დამტკიცებული და შემდეგ 16 მარტს და 6 ნოემბერს კორექტირებული გეგმის შესაბამისად.

პირველ რიგში, შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების მიერ, დაიწყო მუშაობა 2019 წლის ანგარიშზე, რომელიც გამიზნული იყო ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის დეპარტამენტის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გასაგზავნად შესაბამისი ფორმით.

ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ შემოწმების დროს, როგორც წესი მას წინასწარ ეცნობა აუდიტის ჩატარების გადაწყვეტილება, აუდიტის ტიპი, აუდიტის პერიოდი, ვადები და მიზნები, შემსრულებლები. გარდა ამისა, ორგანიზაციას წარედგინა აუდიტის ინდივიდუალური გეგმა და ამოცანები.

ხაშურის „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა: ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჩართულობას სხვადასხვა აქტივობაში, დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2019 წელს განსახორციელებელ ღონისძიებათა პროგრამები /ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №114 განკარგულება/.

შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2019 წელს განსახორციელებელ ღონისძიებათა პროგრამები შემდეგი მიმართულების მიხედვით:

სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა - საერთო ბიუჯეტი - 237800 ლარი.

პროგრამის ცვლილებების შემდეგ, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 დეკემბრის №136 განკარგულებით, 2018 წლის 14 დეკემბრის №114 განკარგულებაში შევიდა საბოლოო ცვლილება და 2019 წელში განსახორციელებელ სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა განისაზღვრა 250842 ლარით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №119 განკარგულებით, განისაზღვრა ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების, ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის“ მეორე პროგრამა 450300 ლარი.

სულ განსახორციელებელი ორივე სპორტული პროგრამა განისაზღვრა 701142 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №107 დადგენილების საფუძველზე, ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდსა“ და ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლას შორის, 2019 წლის 20 თებერვალს, გაფორმდა №19-რ5-გ-ივერ-001 ხელშეკრულება გრანტის გაცემის შესახებ, რის საფუძველზეც ფონდმა აიღო ვალდებულება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ორგანიზებულ ფეხბურთში, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, საფეხბურთო კლუბ „ივერიისთვის“ 2019 წლის სპორტული ღონისძიებებისა და სხვადასხვა ხარჯების ეტაპობრივად (ცალ-ცალკე) დაფინანსების უზრუნველყოფის შესახებ 50000 ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის იმავე დადგენილების საფუძველზე და ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის“ გამგეობის 2019 წლის 4 აპრილის სხდომის ოქმი №15-ის და ა(ა)იპ საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაციის 2019 წლის 11 აპრილის №01/35 წერილის საფუძველზე, ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდსა“ და ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლას შორის გაფორმდა ხელშეკრულება და ქალთა საფეხბურთო კლუბისთვის მასობრივი და სხვა სახის საფეხბურთო ღონისძიებების ხარჯების ეტაპობრივად (ცალ-ცალკე) დასაფინანსებლად განისაზღვრა ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან ჩასარიცხი თანხის ოდენობა 12500 ლარი.

ბიუჯეტის შესრულების ანალიზმა გვაჩვენა, რომ 2019 წლის ბიუჯეტით ხაშურის მუნიციპალიტეტის მთლიანი სპორტული განვითარების ღონისძიებების გეგმა განისაზღვრა 702142 ლარით, აქედან შრომის ანაზღაურება - 338212 ლარი, მივლინება - 384 ლარი, ოფისის ხარჯი - 99400 ლარი, სამედიცინო ხარჯი - 1000 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 11304 ლარი, სხვა ხარჯები (სპორტული ღონისძიებები) – 250842 ლარი.

ფეხბურთის სპორტული გუნდი „ივერია“-ს ფონდიდან ჩასარიცხი თანხა -ხელშეკრულებით განისაზღვრა 50 000 ლარი, აქედან შრომის ანაზღაურება (ფეხბურთელთა პრემიის ჩათვლით) - 25000 ლარი, მივლინება - 250 ლარი, ოფისის ხარჯი - 330 ლარი, საწევრო შენატანი (ფედერაციის და ლიცენზირების ხარჯი) - 7000 ლარი, სამედიცინო ხარჯი - 2800 ლარი, ინვენტარი - 5870 ლარი, ტრანსპორტის ხარჯი - 4817 ლარი, კვების ხარჯი - 3933 ლარი, რითაც მთლიანად მოხდა ფეხბურთის ფონდიდან ჩასარიცხი თანხების ათვისება.

გოგონების ფეხბურთში ,ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან“ ჩასარიცხი თანხა ხელშეკრულებით განისაზღვრა 12500 ლარით, აქედან: მივლინების ხარჯი - 745 ლარი, სამედიცინო ხარჯი - 1600 ლარი, ინვენტარი - 2415 ლარი, ტრანსპორტის ხარჯი - 2500 ლარი, კვების ხარჯი - 3660 ლარი, სტადიონის მომსახურეობა - 1580 ლარი.

ორგანიზაციას დაუმტკიცდა საკუთარი შემოსავლების გეგმა 16553 ლარი, ფაქტობრივად შემოსულია 16553 ლარი.

ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულად აკმაყოფილებს აღნიშნული პერსონალის მიერ ორგანიზაციაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ა(ა)იპ „ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული 2019 წლის საშტატო განრიგით მომუშავეთა რიცხოვნობამ შეადგინა 86 ადამიანი, შტატგარეშე - 5 ადამიანი. ხაშურის მუნიციპალიტეტში ფიზიკური აღზრდის ხელშეწყობის 2019 წლის პროგრამაში მონაწილე ბავშვთა რაოდენობამ შეადგინა 1300 ბავშვი.

ჩვენს მიერ, შერჩევის წესით, შემოწმებულ იქნა დაწესებულების მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობების (სპორტული ინვენტარი, საჭიდაო ტატამი, ბატუტის ლეიბები, სპორტული ტანსაცმელი) რეალობა და დადგინდა: დაწესებულების მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობა იმყოფება ადგილზე და მათი ღირებულება შეესაბამება მათზე გადახდილ ფასს. სპორტული ინვენტარის და სპორტული ტანსაცმლის გადაცემა მომხდარია მიღება-ჩაბარების აქტებით დირექტორზე, შემდეგ მწვრთნელებზე და სპორტსმენებზე ასევე მიღება-ჩაბარების აქტებით, რაც დასტურდება აქტებზე მათი ხელმოწერებით.

დაწესებულების სახელმწიფო შესყიდვების 2019 წლის კორექტირებული გეგმა განისაზღვრა 128725 ლარით, ფაქტობრივმა შესყიდვებმა (საკასო შესრულება) შეადგინა 128725 ლარი.

ფინანსური ანგარიშგება, ძირითადად, შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას.

შემოწმებული საანგარიშო პერიოდისათვის, ანგარიშების წარდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში ხდება მუდმივად, დადგენილ ვადებში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე და ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორის 2019 წლის 25 მაისის №176, 2019 წლის 20 სექტემბრის №259, 2019 წლის 20 სექტემბრის №305, 2019 წლის 20 დეკემბრის №408 ბრძანებებით, განსაკუთრებული სპორტული მიღწევებისათვის დაჯილდოვდნენ სპორტსმენები, მათი მწვრთნელები და დამსახურებული მწვრთნელები სულ თანხით 33498 ლარი.

დამსახურებული მწვრთნელების საპატიო წოდებები დაჯილდოებულ პედაგოგებს მინიჭებული აქვთ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2012 წლის 15 ივნისის №01/129 ბრძანების შესაბამისად.

საფინანსო ოპერაციების ანალიზმა გვაჩვენა, რომ სააუდიტო პერიოდში საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არ ჰქონია. დანახარჯები განხორციელდა პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული აუცილებლობებით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

სასპორტო სკოლის აუდიტორული შემოწმების დროს გამოვლენილია სხვადასხვა გარემოებები, რომელთა გადაჭრისათვის შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- ვინაიდან, დაწესებულებაში 2019 წლის საანგარიშო პერიოდშიც შესყიდვები ძირითადად განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის წესით და დგინდება ბაზრის კვლევების არასათანადო ფაქტები, შემდგომი რისკების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ორგანიზაციამ შესყიდვები განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბაზრის კვლევების გათვალისწინებით (შესყიდვების აუცილებლობის ადრეული დაგეგმვა, ინვოისების მოძიება და სხვა), რაც შესაძლებლობას მოგვცემს დავადგინოთ ორგანიზაციის მიერ თანხების ეფექტიანად ხარჯვის სისწორე;
- სარემონტო (სამშენებლო) სამუშაოების მიწოდებისას გაფორმებული გამარტივებული შესყიდვების დროს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა (ხელშეკრულების ფარგლებში) ანგარიშსწორება არ განახორციელონ მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე; ამავე დროს, მიზანშეწონილია შემუშავდეს, გამარტივებული შესყიდვის გზით, სარემონტო (სამშენებლო) სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან;
- ორგანიზაციაში მოსამსახურეთა ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრული არ არის, ამიტომ შეუძლებელია დადგინდეს მათი რაოდენობისა და საქმიანობის შესაბამისობა რეალურ საჭიროებასთან. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია ორგანიზაციის პასუხისმგებელმა პირებმა 2020 წლის 1 მაისამდე მოახდინონ მოსამსახურეთა ფუნქცია-მოვალეობების ჩამოყალიბება, რაც შესაძლებელს გახდის დადგინდეს თანამშრომელთა საშტატო (არა საშტატო) ოპტიმალური რიცხოვნობა;
- მუნიციპალიტეტში ფიზიკური აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის უკეთ განხორციელებისათვის, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქსა და სოფლად მოზარდების სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებში გაერთიანებას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ორგანიზაციის პასუხისმგებელმა პირებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დაბა სურამისა და სოფლების მოზარდების ჩართულობის გაზრდას ამ პროგრამაში.

* * *

საანგარიშო წელს ჩატარებულ იქნა ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ აუდიტი. ორგანიზაციას წინასწარ ეცნობა აუდიტის ჩატარების შესახებ და გადაეცა შემოწმების ინდივიდუალური გეგმა. ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ იქნა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შემოწმებულ იქნა მისი ფუნქციონირების ყველა სფერო.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალური აღზრდის ხელშეწყობის, მათი ჰარმონიული განვითარების და სკოლისთვის ბავშვთა მომზადების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №120 განკარგულებით, დამტკიცდა „ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი 2019 წლის პროგრამა”.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა: ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი პროგრამა საერთო ბიუჯეტით 2000000 (ორი მილიონი) ლარი. განკარგულება ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან.

შესასრულებელ პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება საბავშვო ბაღების გაერთიანება“, რომელიც მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს - №1, №3,

№4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14, №15, №16 საბავშვო ბაღებს და ოთხ ალტერნატიულ სააღმზრდელო ჯგუფს, მათ შორის, ხაშურში განთავსებულია №1 - №8 საბავშვო ბაღები, დაბა სურამში - №9, სოფელ ცხრამუხაში - №10, სოფელ გომში - №13, სოფელ ოსიაურში - №12, სოფელ ალში - №11, სოფელ ვაყაში - №14 , სოფელ ქვიშხეთში - №15, სოფელ წრომში - №16 საბავშვო ბაღი და ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფები სოფლებში: ნაბახტევში, ფლევში, ბიჯნისში, ტეზერში, და წაღვლში.

პროგრამა ხელს უწყობს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნების და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას.

პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებას სასწავლო და არასასწავლო პერიოდში.

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს გაერთიანებაში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას და ბავშვთა კვებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრა 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის დასაფინანსებლად განისაზღვრა 2000000 (ორი მილიონი) ლარი. მათ შორის კვების ხარჯი 380000 ლარი და გათვლილი იყო 2042 ბავშვზე, 1 ბავშვის კვების ღირებულების თანხამ შეადგინა 1 ლარი და 86 თეთრი. თანხის გაანგარიშებას საფუძვლად დაედო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურა და მათ მიერ მოწოდებული მონაცემები ბავშვთა რაოდენობის შესახებ.

დაფინანსება ხორციელდებოდა ყოველი თვის ბოლოს საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ წარმოდგენილი ბავშვთა ფაქტობრივი დასწრების შესაბამისად.

ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა გვაჩვენებს, რომ საკასო შესრულებამ შეადგინა 1999593 ლარი, მათ შორის: შრომის ანაზღაურება (ხელფასი) - გეგმა - 1127065 ლარი, საქონელი და მომსახურება - გეგმა - 823497 ლარი, აქედან: მივლინება - გეგმა 2123 ლარი; ოფისის ხარჯი: გეგმა - 422640 ლარი, მათ შორის: საკანცელარიო საქონლის შეძენა - გეგმა 14097 ლარი; სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული სასტამბო-საგამომცემლო ლიტერატურის ხარჯები: გეგმა - 3985 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯები - გეგმა 24247 ლარი; საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი - გეგმა - 106108 ლარი; ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი: გეგმა - 36743 ლარი; საოფისე მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯი: გეგმა -15057 ლარი; კავშირგაბმულობის ხარჯი: გეგმა - 2979 ლარი; საფოსტო მომსახურების ხარჯი: გეგმა - 154 ლარი; კომუნალური ხარჯი: გეგმა - 219270 ლარი.

კვების ხარჯები: გეგმა - 387135 ლარი; სამედიცინო ხარჯი 1039 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 10560 ლარი; სხვა ხარჯები 4235 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 45203 ლარი.

ბავშვთა კვების ხარჯი 2019 საანგარიშო წელში განისაზღვრა დღეში - 1 ბავშვზე - 1 ლარი და 86 თეთრი, ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა - 1 ლარი და 94 თეთრი.

ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულიად აკმაყოფილებს ორგანიზაციაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის მიერ დამტკიცებული 2019 წლის საშტატო განრიგით მომუშავეთა რიცხოვნობამ შეადგინა 309 ადამიანი.

ორგანიზაციის მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობა იმყოფება ადგილზე და მათი ღირებულება შეესაბამება მათზე გადახდილ ფასს. ინვენტარის გადაცემა მომხდარია მიღება-ჩაბარების აქტებით, რაც დასტურდება აქტებზე ხელმოწერებით. დაწესებულების სახელმწიფო შესყიდვების 2019 წლის კორექტირებული გეგმა განისაზღვრა 644134 ლარი, ფაქტობრივმა შესყიდვებმა (საკასო შესრულება) შეადგინა 660832 ლარი.

გამარტივებული წესით, შესყიდვების ფაქტების შესწავლით, დადგინდა, რომ დაწესებულება ახდენდა ბაზრის სათანადო გამოკვლევას (შესყიდვების აუცილებლობის ადრეული დაგეგმვა, ინვოისების მოძიება და სხვა), რითაც შესაძლებლობა გვეძლევა დადგინდეს განხორციელებული შესყიდვების ეფექტიანობა. გამოიკვეთა ისეთი ფაქტები, როდესაც სხვადასხვა სახის გამარტივებული წესით შესყიდვები, როგორც 2018 წელს, ასევე 2019 წელშიც განხორციელებულია ერთი და იგივე ინდ. მეწარმე „ანზორ ცერცვაძისგან“, რაც მიუთითებს, რომ გამარტივებული შესყიდვების დროს აღნიშნული პიროვნება სარგებლობდა გარკვეული პრივილეგიებით და დაწესებულებისთვის წარმოადგენდა ფავორიტ მეწარმეს.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას. სააუდიტო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გადარიცხული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არ ჰქონია. დანახარჯები განხორციელებულია პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული აუცილებლობით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

ორგანიზაციაში აღმოჩენილი გარემოებების გამოსასწორებლად შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2019 წლის საანგარიშო პერიოდში, გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღების უმრავლესობაში, მონიტორინგის შემდეგ, გაცემულ იქნა სხვადასხვა სახის მითითებები (სამზარეულოში აღმოჩენილია ზედმეტი არასაჭირო ნივთები, საწყობის ფანჯრები არ არის დაფარული მწერების დამცავი ბადეებით, არ ხდებოდა მაცივრების ტემპერატურის რეჟიმის აღრიცხვა, სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები არ ინახებოდა იზოლირებულ სათავსში, სამზარეულოს მექანიკური სავენტილაციო სისტემა გაუმართვი იყო, ზოგიერთ შემთხვევაში არ ხდებოდა წყლის სამარაგე ავზის დეზინფექცია, სამზარეულოს ინვენტარი არ იყო დამზადებული ისეთი ხის მასალისაგან, რომ ის ადვილად გასაწმენდი ყოფილიყო და სხვა) - მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაწესებულებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გამოვლენილ შეუსაბამობებს (ნაკლოვანებებს), რათა შემდგომში საბავშვო ბაღებში არ განმეორდეს ანალოგიური შეუსაბამობები საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 და 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებებით დაწესებულ მოთხოვნებთან;
- ვინაიდან დაწესებულებაში შემავალი ზოგიერთი საბავშვო ბაღი ვერ სარგებლობს წყლის ცენტრალური მომარაგებით, ზოგიერთ შემთხვევაში კი მონიტორინგის დროს დაფიქსირებულია წყლის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შეუსაბამობები დადგენილ ნორმებთან - დაწესებულების ხელმძღვანელობამ კვლავაც გააგრძელოს მუშაობა „საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილების - „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“-მოთხოვნების შესასრულებლად;
- ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრთან და მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად კვლავაც გაგრძელდეს ღონისძიებები საბავშვო ბაღების აღსაზრდელებზე და მომსახურე პერსონალზე ჰიგიენის საკითხების სწავლებასთან დაკავშირებით. სააღმზრდელო ჯგუფებში გაგრძელდეს სანიტარული განათლების ღონისძიებები.
- დაწესებულების ხელმძღვანელობა, თავისი შემდგომი მუშაობის დროს, მაქსიმალურად ეცადოს გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები და მოახდინოს მეწარმეების დივერსიფიცირება გამარტივებული შესყიდვების დროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ე.წ. ფავორიტი მეწარმეებისაგან სხვადასხვა სახის შესყიდვების განხორციელება;
- შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, სარემონტო-საამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განახორციელონ მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.
- ვინაიდან გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობები წარმოადგენს მუნიციპალურ ქონებას, დაწესებულების ხელმძღვანელობამ შემდგომი საქმიანობის დროსაც გააგრძელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნების, ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ მოთხოვნების შესრულება.

* * *

საანგარიშო წელს განხორციელდა ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს აუდიტორული შემოწმება. ორგანიზაცია ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

ა) ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე დასახლებული პუნქტების ტერიტორიების შიდა გზების დასუფთავება, განათება და შიდა გზების დაპროფილება;

ბ) დასახლებათა ტერიტორიების, ქუჩების, მოედნების, ტროტუარების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაგვა-დასუფთავება, გათოვლა, საოჯახო-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სხვა სახის (ნაგავი და გადანაყარი) ნარჩენების დახარისხების, გატანის, შეგროვებისა და ტრანსპორტირების ორგანიზება;

გ) სანაგვე ურნების, კონტეინერების, ნარჩენების განთავსების ადგილების (ნაგავსაყრელების) მოვლა-პატრონობა და ნარჩენების გადასამუშავებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

დ) ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების, მაგისტრალების, ქუჩების, გზების, საზოგადოებრივი ადგილების, სკვერების, პარკების, გამწვანებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების, ქალაქის განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, გარე განათების ქსელების პროექტირება, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია და შენობა-ნაგებობების დეკორატიულ-მხატვრული განათება;

ე) სადღესასწაულო და სხვა ღონისძიებების მხატვრულ-დეკორაციული (სადღესასწაულო ილუმინაციები, დეკორაციები, დროშები, ბანერები, სცენები, ფეიერვერკები და ა.შ.) და სხვა საჭირო ატრიბუტიკითა და გახმოვანება-განათებით უზრუნველყოფა;

ვ) ხაშურის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და ამ სფეროში მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელება-ხელშეწყობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №122 განკარგულების საფუძველზე აუდიტის ობიექტს დაუმტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ესთეტიკური უსაფრთხო გარემოს შექმნისა და გაუმჯობესების ხელშეწყობის 2019 წლის პროგრამა 313000 ლარის ოდენობით, მათ შორის „ხაშურის და სურამის გამწვანების ტერიტორიებისა და ობიექტების, ხე-მცენარეების და სხვა ნარგაობების მოვლა-პატრონობის, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის ქვეპროგრამა 250000 ლარი და მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციის მართვის ხელშეწყობის ქვეპროგრამა 63000 ლარი.

განკარგულება №123 საფუძველზე „ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობის 2019 წლის პროგრამა“ -54000 ლარი. განკარგულება №124 საფუძველზე, ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის 2019 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 1440200 ლარი. სულ 1807200 ლარი.

2019 წლის 25 ნოემბრის №103 განკარგულებით, 2018 წლის 14 დეკემბრის 122 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ესთეტიკური და უსაფრთხო გარემოს შექმნისა და გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა განისაზღვრა 260900 ლარით.

2019 წლის 25 ნოემბრის №104 განკარგულებით, 2018 წლის 14 დეკემბრის №123 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობის 2019 წლის პროგრამა განისაზღვრა 48000 ლარით.

2019 წლის 25 ნოემბრის №105 განკარგულებით, შევიდა ცვლილება 2018 წლის 14 დეკემბრის №124 განკარგულებაში და „ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის 2019 წლის სამოქმედო პროგრამა განისაზღვრა 1498300 ლარით. სულ 1807200 ლარი. ორგანიზაციას დაუმტკიცდა სხვა შემოსულობებისა და შემოსავლების გეგმა 61000 ლარი და ორგანიზაციას საბოლოოდ დაუმტკიცდა 2019 წლის დაფინანსება (საკუთარი და საბიუჯეტო) 1868200 ლარი, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 1052075 ლარი, საქონელი და მომსახურება - 453768 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 301357 ლარი, დანარჩენი საქონელი და მომსახურება საკუთარი შემოსავლებიდან - 61000 ლარი. ქვეპროგრამების დაფინანსება ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებიდან განისაზღვრა შემდეგნაირად: მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების ქვეპროგრამა - 936950 ლარი, აქედან: ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები - 901950 ლარი, სხვა შემოსულობები და შემოსავლები - 35000 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 530000 ლარი, საქონელი და მომსახურება - 266000 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 105950 ლარი, დანარჩენი საქონელი და მომსახურება საკუთარი შემოსავლებიდან - 35000 ლარი. მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების ქვეპროგრამა - 301650 ლარი, აქედან ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები - 296650 ლარი, სხვა შემოსულობები და შემოსავლები - 5000 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 86200 ლარი, საქონელი და მომსახურება - 85768 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 124682 ლარი, დანარჩენი საქონელი და მომსახურება საკუთარი შემოსავლებიდან - 5000 ლარი. ქალაქის ქუჩების, დაბა სურამის და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი შიდა გზების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა - 284700 ლარი, აქედან ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები - 279700 ლარი, სხვა შემოსულობები და შემოსავლები - 5000 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე - 144000 ლარი, საქონელი და მომსახურება -84000 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 51700 ლარი, დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 5000 ლარი. განისაზღვრა ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლება-

ში წყლის სათავე-ნაგებობების ზედამხედველობაზე მომუშავე ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურება ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები თანხით - 20000 ლარი.

მუნიციპალიტეტის დასახლებაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით განისაზღვრა გამწვანების და მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ქვეპროგრამა - 197900 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება -181000 ლარი, საქონელი და მომსახურება - 10000 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 6900 ლარი.

მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა განისაზღვრა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით - 63000 ლარით. აქედან შრომის ანაზღაურება - 55000 ლარით, საქონელი და მომსახურება - 6000 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 2000 ლარი.

მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებების ქვეპროგრამა განისაზღვრა - 64000 ლარი. აქედან ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით - 48000 ლარი და სხვა შემოსულობები და შემოსავლები - 16000 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 38500 ლარი, საქონელი და მომსახურება - 2000 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 7500 ხუთასი ლარი, დანარჩენი საქონელი და მომსახურება საკუთარი შემოსავლებიდან - 16000 ლარი.

ზემოთ მოყვანილ პროგრამაში რამდენიმე ცვლილების შეტანის შემდეგ საბოლოოდ განისაზღვრა ორგანიზაციის შემოსულობებისა და გადასახადების შესახებ 2019 წლის დაზუსტებული გეგმა - 1868200 ლარი, აქედან ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით - 1807200 ლარი, სხვა შემოსავლები და შემოსულობები - 61000 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 1052075 ლარი, საქონელი და მომსახურება - 453768 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 301357 ლარი, დანარჩენი საქონელი და მომსახურება საკუთარი შემოსავლებიდან - 61000 ლარი.

ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულიად აკმაყოფილებს ორგანიზაციაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს დირექტორის მიერ, დამტკიცებული 2019 წლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 212 ადამიანი, ორგანიზაციაში 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე სხვადასხვა პერიოდში თანამშრომელთა საშუალოსიობრივმა რაოდენობამ შეადგინა 212 ადამიანი.

ორგანიზაციის მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობების შემოწმებით დადგინდა, რომ ყველა მატერიალური ფასეულობა იმყოფება ადგილზე და მათი ღირებულება შეესაბამება მათზე გადახდილ ფასს. ინვენტარის გადაცემა მომხდარია მიღება-ჩაბარების აქტებით, რაც დასტურდება აქტზე ხელმოწერებით.

დაწესებულების შესყიდვების წლიური გეგმა 2019 საანგარიშო წელში შეადგენდა 819324 ლარს, ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს მიერ განხორციელებულმა შესყიდვებმა კი შეადგინა 813907 ლარი და 11 თეთრი, მათ შორის: გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა 122324,44 ლარის და 44 თეთრის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, კონსოლიდირებული შესყიდვის საშუალებით 331492,31 ლარის და 31 თეთრის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, ხოლო ელექტრონული ტენდერის საშუალებით 360090,36 ლარის და 36 თეთრის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 0 ლარი, კრედიტორულმა დავალიანებამ კი - 26354,46 ლარი და 46 თეთრი.

ორგანიზაციაში ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას.

შემოწმებული საანგარიშო პერიოდისთვის ანგარიშების წარდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში ხდება მუდმივად, დადგენილ ვადებში.

სააუდიტო პერიოდში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გადარიცხული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არა ჰქონია. დანახარჯები განხორციელებულია პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული აუცილებლობით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

ორგანიზაციის ხარჯებიდან ყველაზე დიდი წილი მოდის საწვავის შეძენაზე, რომლის შეძენაც მოხდენილია ძირითადად კონსოლიდირებული წესით სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებული კომპანიებიდან, საწვავის შეძენის რეალობა დასტურდება სპეციალური ანგარიშ-ფაქტურებით.

ორგანიზაციის აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილ იქნა სხვადასხვა გარემოებები, რომელთა გამოსასწორებლად შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- ორგანიზაციას საკუთრებაში გააჩნია ამორტიზებული ტექნიკა, რომელთა გამოყენება და ტექნიკური მომსახურება საკმაო ხარჯებთანაა დაკავშირებული, აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია აღნიშნული ტექნიკის გამოცვლა ახლით;
- ორგანიზაციას, მის მფლობელობაში არსებული ავტომობილების და ტრაქტორების ტექნიკური მომსახურებისათვის არ გააჩნია შესაფერისი სარემონტო ბაზა, რის გამოც იძულებულია ეს სამუშაოები სხვა ორგანიზაციებიდან შეისყიდოს, აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია საკუთარი სარემონტო ბაზის ორგანიზება, რაც შეამცირებს რემონტისათვის საჭირო თანხებს.

* * *

შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2019 წელში განხორციელებული პროგრამების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება. შემოწმების მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა შეესაბამება თუ არა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა და ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და საერთაშორისო სტანდარტებს, მოდის თუ არა მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო და საგრანტო მოთხოვნებთან, ორგანიზაციულ პოლიტიკასთან და პროცედურებთან შესაბამისობაში.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, მერიისა და სამსახურის დებულებების, მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების მიხედვით. სამსახურის დებულებით განსაზღვრულია სამსახურის ფუნქციები, რომლის მიხედვითაც ის დადგენილი წესით უზრუნველყოფს: ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას, მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებამოსილებათა განხორციელებას, ჯანდაცვის მუნიციპალური ობიექტების მართვას, უმუშევართა რეგისტრაციას, მათი პროფესიული გადამზადებისა და სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობას, წინადადებების შემუშავებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაწესებულებათა შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე, უსახლკაროთა რეგისტრაციას და მათ თავშესაფრით უზრუნველყოფას, მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

აუდიტის ჯგუფის წინაშე დასმული საკითხების შესასწავლად შერჩევის წესით, შემოწმებული იქნა: უმწეოთა უფასო კვების, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალური დახმარების, სახელოვნებო სკოლების დევნილთა და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების, მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბერის №111 განკარგულებით, დამტკიცდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „უმწეოთა უფასო კვების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა“ 135 000 ლარის ოდენობით, რომლის მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ბენეფიციართა საერთო რაოდენობამ შეადგინა 185 პირი, რომელთა რეიტინგი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-70 000 ქულის ფარგლებშია. პროგრამის მიხედვით, დღეში ერთი პირის კვებაზე დაგეგმილია 1.99 ლარი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №108 განკარგულებით, დამტკიცდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა 785000 ლარის ოდენობით. პროგრამის მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. პროგრამის რეგულირების სფერო შემდეგია: მკურნალობის, მედიკამენტების, მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების თანადაფინანსება, ერთჯერადი ფულადი დახმარება. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა განისაზღვრა 2000 პირით/ოჯახით და შეეხო სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომელთა მკურნალობის/გამოკვლევების/მედიკამენტების ხარჯები არ ფინანსდება ან სრულად არ ფინანსდება დაზღვევით ან საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით; უმწეო მდგომარეობაში მყოფნი, ხელმოკლე და სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობა (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, სტუდენტები, მოსწავლეები, დევნილები, ომის მონაწილენი და ომში დაღუპულთა ოჯახები, მრავალშვილიანი დედები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანძრით და სხვა სტიქიური მოვლენებით დაზარალებულნი). პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მაქსიმალური თანხის ოდენობა შეადგენს 3000 ლარს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის, მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების, თირკმლის დიალიზზე მყოფი ავადმყოფებისა და ასევე მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების უსინათლო პირების და პირების, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, ან საჭიროებენ მომვლელს, რაოდენობის გაზრდამ გამოიწვია პროგრამით გათვალისწინებული თანხების ამოწურვა განსაზღვრულ ვადაზე ადრე. 2019 წლის ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლებში დარჩენილი ეკონომიის ხარჯზე შესაძლებელი შეიქმნა მიმდინარე წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტში განხორციელებულიყო თანხის ცვლილება.

აღნიშნულ განკარგულებაში 2019 წლის 27 დეკემბერს №141 განკარგულებით შევიდა ცვლილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №108 განკარგულებაში და პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა ნაცვლად 785000 ლარისა 864073 ლარის ოდენობით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №112 განკარგულებით, განისაზღვრა ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა 23000 ლარის ოდენობით. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 190 მოსწავლე, პროგრამის მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილისა და სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსწავლეებისათვის მუსიკალური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა. ეს მოსწავლეები არიან დევნილის სტატუსის მქონე მოსწავლეები და მოსწავლეები იმ ოჯახებიდან, რომელთა რეიტინგი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 70000 ქულას. საბიუჯეტო წლის დასაწყისში სახელოვნებო სკოლების დირექციები მერიას წარუდგენენ პროგრამით მოსარგებლე განსაზღვრული სტატუსით მოსარგებლე მოსწავლეების პერსონალურ სიებს შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების თანდართვით. ასევე დასაფინანსებელი კონტიგენტისა და მასში მომხდარი ცვლილებების შესახებ მერიას ეცნობება ყოველთვიურად 20 რიცხვისათვის. თვეში ერთი მოსწავლის დაფინანსების თანხა შეადგენს 12 ლარს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №109 განკარგულების საფუძველზე დამტკიცდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების 2019 წლის სამოქმედო პროგრამა. განისაზღვრა პროგრამის მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა უწყვეტი აღზრდისა და სწავლების პროცესის ხელშეწყობა, მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო და შრომითი ადაპტაციის უზრუნველსაყოფად. პროგრამის ბენეფიციარებია სსიპ ხაშურის №2 სკოლაში ჩარიცხული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 25 მოსწავლე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დღის მოვლის ცენტრის მიერ წარმოდგენილი კვარტალური დაფინანსების განაცხადის შესაბამისად, ანაზღაურება ხდება ყოველთვიურად. საკითხის ადმინისტრირებას აწარმოებს საფინანსო-საბიუჯეტო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური. პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 29100 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №110 განკარგულებით, განისაზღვრა ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა 24000 ლარის ოდენობით. პროგრამის რეგულირების სფერო მდგომარეობს კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფაში. პროგრამის მიზანია ქალაქ ხაშურში მცხოვრები, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების სამუშაო ადგილზე დამაგრების ხელშეწყობა. ბენეფიციარებს წარმოადგენს ქალაქ ხაშურში მცხოვრები, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების 44 პედაგოგი. პროგრამის განხორციელების მექანიზმი შემდეგია: კონკრეტული სკოლის პედაგოგები, პროგრამის ცხრილით გათვალისწინებული მგზავრობის ღირებულებას იღებენ ყოველი თვის ბოლოს შესაბამისი სკოლის დირექციის ცნობის საფუძველზე, რითაც დასტურდება პედაგოგის მიერ კვირეული დატვირთვით განსაზღვრული საათების შესრულება. საკითხის ადმინისტრირებას აწარმოებს საბიუჯეტო სამსახური.

სამსახურის მიერ 2019 წელში განხორციელებული პროგრამების ანალიზმა გვაჩვენა:

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის (უმწეოთა) უფასო კვების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის მიხედვით ფაქტიურად გახარჯულმა კვების თანხამ შეადგინა 114329.15 ლარი. ბენეფიციართა კვების თანხების გამოყოფა და ხარჯვა მოხდენილია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №111 განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის ადმინისტრირების (მართვის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის) წესებითა და პირობებით.

ბენეფიციარების განცხადებების მიღება და დამუშავება მოხდენილია მე-

რიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ, განხილვა და პროექტების მომზადება შესრულებულია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, გადაწყვეტილების პროექტებზე ვიზირებას ახდენს: მერის მოადგილე, საბიუჯეტო სამსახური და იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური. გადაწყვეტილების აღსრულება მოხდენილია შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. პროგრამის შესრულებაზე მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პერიოდული კონტროლი.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის მიხედვით დასაფინანსებელმა ფაქტიურმა თანხამ 818075.26 ლარი. ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება განხორციელდა 758 ბენეფიციარზე, თანადაფინანსების თანხამ კი შეადგინა 403260 ლარი. ბენეფიციარებზე თანხების ხარჯვა მოხდენილია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №108 და 2019 წლის 27 დეკემბრის №141 განკარგულებებით დამტკიცებული პროგრამის ადმინისტრირების (მისი მართვა, ზედამხედველობა, მონიტორინგი) წესებითა და პირობებით.

განცხადებების მიღება და დამუშავება ხდებოდა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ, საქმეების განხილვა კი - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან, ეკონომიკური განვითარების სამსახურის წარმომადგენელთან, სახანძრო-სამაშველო სამსახურთან და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში მერის წარმომადგენელთან ერთობლივად (ხანძრით და სხვა სტიქიური მოვლენებით დაზარალებულთა მიმართებაში).

გადაწყვეტილებების პროექტები თანხების ანაზღაურების შესახებ მომზადებულია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ (ხანძრით და სხვა სტიქიური მოვლენებით დაზარალებულთა მიმართებაში). გადაწყვეტილების პროექტებზე ვიზირება მოხდენილია მერის მოადგილეებისა და საბიუჯეტო და იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურების მიერ. გადაწყვეტილების აღსრულება მოხდენილია საბიუჯეტო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ. პროგრამის ზედამხედველობას და მონიტორინგს შესაბამისად ახორციელებდა მერის მოადგილე და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური.

მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის მიხედვით გახარჯულია 20538 ლარი. ბენეფიციარებზე თანხები გადარიცხულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №112 განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის ადმინისტრირების (მისი მართვის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის) წესებისა და პირობების შესაბამისად. წლის დასაწყისში, სახელოვნებო სკოლების დირექციების მიერ, მერიაში წარმოდგენილი დევნილის სტატუსის მქონე მოსწავლეებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მოსწავლეების სიების შესაბამისად, რომელთა რეიტინგი მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 70000 ქულას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის მიხედვით გახარჯულია 27469.52 ლარი, ერთ მოსწავლეზე - 1098.78 ლარი. თანხების გადარიცხვა სსიპ ხაშურის №2 საჯარო სკოლაში მოხდენილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დღის მოვლის ცენტრის მიერ წარმოდგენილი კვარტალური დაფინანსების განაცხადების შესაბამისად, ყოველთვიურად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №109 განკარგულებით, დამტკიცებულ პროგრამის ადმინისტრირების წესებისა და პირობების შესაბამისად.

ხაშურის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის მიხედვით გახარჯულია 23904.5 ლარი. პედაგოგებზე თანხების გადარიცხვა მოხდენილია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №110 განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის ადმინისტრირების წესებისა და პირობების შესაბამისად. კონკრეტული სკოლების პედაგოგები მგზავრობის ღირებულებას ღებულობდნენ ყოველი თვის ბოლოს შესაბამისი სკოლის დირექციის ცნობის საფუძველზე, რითაც დადასტურებულია პედაგოგების მიერ კვირეული დატვირთვით განსაზღვრული საათების შესრულება.

მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა და ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და სტანდარტებს, შესაბამისობაშია მოსული მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო და ორგანიზაციულ პოლიტიკასთან და პროცედურებთან. სააუდიტო 2019 წლის პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ პროგრამებზე გადარიცხული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არა ჰქონია. დანახარჯები განხორციელებულია პროგრამების ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული აუცილებლობით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

***

შიდა აუდიტის სამსახურმა 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განახორციელა ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მიერ 2019 წელში განხორციელებული საქმიანობის აუდიტორული შემოწმება. შემოწმების მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა შეესაბამება თუ არა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

განყოფილებაში დღეისათვის დასაქმებულია სულ 27 საჯარო პირი, მათ შორის განყოფილების ხელმძღვანელი, 4 მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, 3 მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, 18 მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი და 1 შტატგარეშე პირი. ხაშურის განყოფილებაში დასაქმებულია 8 საჯარო პირი, განყოფილებაში შემოსული კორესპონდენციის შესაბამისი ადრესატებისათვის, მათ შორის მერის წარმომადგენლებისათვის გადანაწილებაზე, მიღებული კორესპონდენციის დამუშავებაზე და შესაბამისი საბოლოო ადრესატებისთვის მოწოდებაზე, ხოლო დანარჩენი 19 მოხელე დასაქმებულია აღნიშნული წერილების შესრულებაზე.

სამსახური (განყოფილება) თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, მერიისა და სამსახურის დებულების, მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების მიხედვით. სამსახურის დებულებით განსაზღვრულია სამსახურის (განყოფილების) ფუნქციები, რომლის მიხედვითაც ის დადგენილი წესით უზრუნველყოფს მერის წარმომადგენელთა ინფორმირებას, მათთან კოორდინირებულ ურთიერთობას სხვადასხვა საკითხების მოგვარებისთვის, მათ შორის:

1. მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადასტურება;
2. მოქალაქეთა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრებაში გადაცემის შესახებ არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტების მოძიება (დადგენილება, ოქმი, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა) ადმინისტრაციული ერთეულებიდან და ხაშურის რეგიონული არქივიდან;
3. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების სტატუსზე მუშაობა (სტატუსის მინიჭებისთვის დოკუმენტაციის მომზადება, სტატუსის მონიტორინგი);
4. ხე-მცენარის ადგილწარმოშობის ცნობებზე მუშაობა;
5. მეწყერით დაზიანებულ სახლებზე ინფორმაციის მომზადება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადაგზავნა;
6. საშეშე მერქნის მიმღებთა სიების დაზუსტება, შუამდგომლობების მომზადება სიებში შეტანისათვის;
7. სამასალე მერქნის გამოყოფისთვის შუამდგომლობების მომზადება;
8. მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარეთა შესახებ ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოების და მოიჯარეებისათვის;
9. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. განხორციელებული და მიმდინარე პროექტების და ბენეფიციარების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება;
10. მოქალაქეებიდან და სხვადასხვა უწყებებიდან განყოფილებაში მიღებული წერილების შესწავლა, შუალედური და საბოლოო პასუხების მომზადება;
11. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და საკადასტრო აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენა და შესაბამისი ოქმის შედგენა;
12. საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის კონკრეტულ პირზე გაცემის შესახებ ინფორმაციის მოკვლევა/ გაცემის დადასტურება, შესაბამისი ოქმის შედგენით;
13. პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურებისათვის ადგილზე შემოწმების ოქმის შედგენაში მონაწილეობა;
14. საკრებულოს წევრების, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლების მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების ორგანიზება;
15. განყოფილების თანამშრომლები ჩართულები არიან მერის ინიციატივით დასახლების საერთო კრების ორგანიზების პროცესში.

საანგარიშო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის განკარგულებით, ჩატარდა მაღალმთიან დასახლებებში სტატუსის მართვის საბჭოს 14 სხდომა. სტატუსის მინიჭების თაობაზე განაცხადი შემოტანილი ჰქონდა 83 მოქალაქეს, მათ შორის მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი მიენიჭა 59 მოქალაქეს, მინიჭებაზე უარი ეთქვა - 24, ხოლო სტატუსი შეუწყდა 43 მოქალაქეს, მათ შორის, მონიტორინგის საფუძველზე, 10 მოქალაქეს. სტატუსის შესახებ მომზადდა 93 საინფორმაციო წერილი. საანგარიშო წლის განმავლობაში განყოფილების თანამშრომლების მიერ განხორციელდა 621 მონიტორინგის ღონისძიება, რომლის მიზანი იყო მაღალმთიან დასახლებებში ფაქტობრივად 9 თვით ან 9 თვეზე მეტი ვადით ცხოვრების მართლზომიერების დადგენა. წლის დასაწყისში, დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, განხორციელდა 502 პირველადი მონიტორინგი და 119 მეორადი მონიტორინგი, რომლის შედეგად სტატუსი შეუწყდა 10 მოქალაქეს.

აუდიტის ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა კოორდინაციის განყოფილების თანამშრომლების მიერ საანგარიშო წელში განხორციელებული ხე-მცენარის ადგილწარმოშობის ცნობების გაცემის ფაქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, შესწავლილ იქნა სათანადო დოკუმენტაცია.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა: ხე მცენარეების ადგილწარმოშობასთან დაკავშირებით, განყოფილების მიერ, მომზადებულ იქნა 30 ცნობა, აქედან 23 პირს დაუკმაყოფილდა განცხადება, ხოლო 7 პირს უარი ეთქვა ცნობის გაცემაზე.

გარდა ზემოთმოყვანილი აქტივობებისა, განყოფილების თანამშრომლების მიერ შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაო მერიაში შემოსული განყოფილების კომპეტენციასთან დაკავშირებული კორესპონდენციის გასაანალიზებლად და საპასუხო წერილების მოსამზადებლად, როგორიცაა საჯარო რეესტრიდან მიღებული კომლის შემადგენლობისა და რიცხული ქონების შესახებ ინფორმაციების მოძიება და დადასტურება, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან შემოსული სტიქიით დაზარალებული ოჯახების განცხადებების შესწავლა და მათზე რეაგირება, სამასალე მერქნის გამოყოფაზე შუამდგომლობების მომზადება, ავარიული ხის მოჭრისა და გადაბელვის მოთხოვნების შესწავლა და რეაგირება და მრავალი სხვა.

განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით ჩატარებულ დასახლებების 60 საერთო კრებისა და 11 კონსულტაციის ორგანიზებაში.

შიდა აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა კოორდინაციის განყოფილების თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაოთა აღწერილობები. განყოფილებაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის ხელმძღვანელ და სხვა პოზიციებზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულიად აკმაყოფილებს განყოფილებაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს.

საბოლოოდ, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და სამუშაოების ფაქტობრივი შესწავლის საფუძველზე დადგინდა - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების თანამშრომელთა საქმიანობის დროს რაიმე სახის შეუსაბამობებს კანონმდებლობის მიმართ, რაც არსებით გავლენას მოახდენდა შედეგებზე ადგილი არა ჰქონია, ყველა დოკუმენტი შედგენილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მარეგულირებელი ნორმების და მოთხოვნების შესაბამისად.

მიუხედავად ზემოთმოყვანილი შეფასებებისა აუდიტის ჯგუფს საჭიროდ მიაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- განყოფილების თანამშრომლების მიერ, მიწის ნაკვეთების იდენტურობის დადგენის დროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესაბამისი წერილის მიღების შემთხვევაში, ზოგჯერ ადგილი აქვს ხარვეზებს, რაც გამოიხატება ნაკვეთების ფაქტობრივ მდგომარეობასა და საჯარო რეესტრის მიერ წარმოდგენილ ორთოფოტოსა და მხაზველის მიერ შესრულებულ ნახაზებით ასახულს შორის განსხვავებაში - ზოგჯერ ადგილი აქვს ნაკვეთების გადაფარვას, რაც გაუგებრობას იწვევს მოსახლეობაში. გადაწყვეტილების მიღების დროს მერის წარმომადგენელი ან განყოფილების თანამშრომელი ეყრდნობა მხოლოდ წარმოდგენილ ნახაზს, ორთოფოტოს და მესაკუთრისა და მისი მეზობლების ჩვენებებს, არ გააჩნია ადგილზე რაიმე ტექნიკური საშუალება, შესრულებული ნახაზის სისწორის გადასამოწმებლად, რის გამოც ხდება შეცდომები, განსაკუთრებით მაშინ, თუ მხაზველის მიერ წარმოდგენილია არაკორექტული ნახაზი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია რამდენიმე GPS ნავიგატორის შეძენა, რომლებიც გადაეცემათ მერის წარმომადგენლებს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ხარვეზების რაოდენობას ნაკვეთების იდენტურობის დადგენის დროს.

- მიწის ნაკვეთების იდენტურობის დადგენის დროს წარმოშობილი ხარვეზების შესამცირებლად, რეკომენდებულია ამ პროცესში ჩართული თანამშრომლების ტრენინგის განხორციელება GPS ნავიგატორის გამოყენების შესწავლისა და მიღებული მონაცემების არსებულ სიტუაციასთან (ნახაზთან) შედარების შესწავლის მიზნით.

თამაზი ლომიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი

ხაშურის რეფერალური ჰოსპიტალი კოვიდ - 19 -ის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებით მონაწილეობს

(დასასრული)

გეგმიური, ქირურგიული თუ თერაპიული სერვისები გავაფართოვეთ. კიდევ უფრო მეტად გავზარდეთ ტრავმატოლოგიური გუნდიც, ეს გადაწყვეტილება კი მუნიციპალიტეტის საჭიროებების გათვალისწინებით მივიღეთ.

- ბატონო კახა, ჰიბრიდ კლინიკის სტატუსით ფუნქციონირება, ალბათ, მედპერსონალის გადამზადებასაც გულისხმობს.

- დიახ, მედპერსონალის გადამზადება პანდემიის პირველი ტალღიდანვე მიმდინარეობდა. გარდა ტექნიკურ-მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფისა, მკურნალობის პროცესში მთავარი ადამიანური რესურსი გახლავთ. სწორედ ამიტომ, ექიმებმა და ექთნებმა საერთაშორისო გაიდლაინებზე დაყრდნობით შემუშავებული გადამზადების კურსები გაიარეს.

- რამდენად ეფექტურად მუშაობს ონლაინ კლინიკა?

კოვიდ პაციენტის ბინაზე მართვის ნაწილშიც 1-ლი დეკემბრიდან აქტიურად ჩავერთეთ ე.წ.ონლაინ კლინიკის სტატუსით.

ონლაინ კლინიკამ განყოფილებებში მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეამსუბუქა. მით უმეტეს, რომ გადაუდებელი აუცილებლობის გამო, სამუშაო პროცესი 24-საათიანი იყო. 2020 წლის დეკემბერის მონაცემებით, იმართა 1800 პაციენტი, 2021 წლის იანვრის თვეში კი ონლაინ კლინიკა კიდევ 500 პაციენტს მოემსახურა. აღნიშნული პლატფორმით მომსახურების მიღება ახლაც გრძელდება.

- ხომ არ გახდა დამატებითი მედპერსონალის მობილიზების საჭიროება?

სტაციონარულ სერვისებში საკუთარი რესურსით, კლინიკის სრული მედპერსონალით ჩავერთეთ. რაც შეეხება ოჯახის ექიმების მუშაობას ონლაინ კლინიკაში, ამ სფეროში სოფლის ექიმები დავიხმარეთ.

- როგორ ხდებოდა სამედიცინო კოვიდ- აღჭურვილობით კლინიკის მომარაგება?

ეს პროცესი ჩვენივე ქსელის შემადგენელი ნაწილი გახლავთ. კორპორაცია ჰოსპიტლებს საჭირო მედიკამენტებითა, ჟანგბადითა და აღჭურვილობით ერთიანად, ცენტრალიზებულად უზრუნველყოფს. მათ შორის, აღსანიშნავია სპეციალური დამცავი საშუალებები ჩვენი მედპერსონალისათვის, რომელიც ქსელმა გამოგვიგზავნა.

იმედისმომცემია ფაქტი, რომ ჰოსპიტალში აქცენტი ნელ-ნელა კვლავ სომატურ პაციენტებსა და მათ მომსახურებაზე კეთდება. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტუაცია რეგულირდება. ხაშურის რეფერალური ჰოსპიტალი გამოთქვას მზაობას, პაციენტებს ყველა სახის სამედიცინო მომსახურება ჩვეულ რეჟიმში (კარდიოქირურგია, ტრავმატოლოგია, თერაპია, ზოგადი ქირურგია და სხვა) გაუწიოს.

თეა ახალკაცი

ხაშურის თოჯინების თეატრი იუბილესათვის ემზადება

ხაშურის თოჯინების თეატრი, წელს, დაარსებიდან 30 წლის იუბილეს აღნიშნავს. თეატრის ანგარიშზე უკვე 27 მოქმედი სპექტაკლია, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო პატარა მაყურებლებში, არამედ ფესტივალებშიც წარმატებით მონაწილეობს. პანდემიის პირობებშიც კი შეძლეს და ორი ძალიან საინტერესო და სახასიათო სპექტაკლი შექმნეს, რომელიც, იმედია, მალე გაახარებს პატარებს. კულტურის ცენტრების გაერთიანებისა და თეატრის ხელმძღვანელმა, ბატონმა გიორგი ბოლოკაძემ, "ხაშურის მოამბესთან" სიახლეებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა:

–მიუხედავად ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა, ხაშურის თოჯინების თეატრს მუშაობა არ შეუწყვეტია, გასულ წელს, დისტანციური მუშაობის მიუხედავად, ყველა წესის დაცვით, მოვამზადეთ ერთი სპექტაკლი "ყველა თაგუნას უყვარს ყველი". იმ იმედით, რომ ეს სიტუაცია დამშვიდდებოდა, მეორე სპექტაკლიც გავაკეთეთ "კარლსონი და ბიჭუნა",

გავაპიესეთ უკვე, თოჯინებიც მზად გვაქვს და, ფაქტობრივად, ორ ახალ სპექტაკლს შევთავაზებთ ჩვენს პატარა მაყურებლებს.

- როგორც ვიცი, თოჯინებსაც თვითონ ქმნით...

–ჩვენ უკვე მეორე წელია თოჯინებს საკუთარ სახელოსნოში ვქმნით, გიორგი ნადირაშვილი, გიორგი სუხიაშვილი და გიორგი კიკაძე, ახაგაზრდა სკულპტორი, რომელიც აკეთებს მულიაჟებს, ზერწავს თოჯინის სახასიათო სახეს, შემდეგ ამოგვყავს მულიაჟი, მექანიკას ვაკეთებ და გიორგი სუხიაშვილი მხტვრული კუთხით ხასიათს აძლევს თოჯინებს, საბოლოოდ მკერავი ასრულებს ამ საქმეს. ძალიან საინტერესო და შრომატევადი პროცესია. ამის ფუფუნება მხოლოდ სახელმწიფო თეატრს აქვს ჩვენს სინამდვილეში, ჩვენნაირ თეატრებს არ აქვთ. სამწუხაროა, რომ რეგიონში მხოლოდ ერთი საბავშვო თეატრი ვართ.

-სულ რამდენი სპექტაკლი გაქვთ რეპერტუარში?

–27 მოქმედი სპექტაკლია, საფესტივალო მუშაობა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ თეატრი არ დუნდება და სულ ცოცხალ პროცესშია, მადლობა მერიას, ამ მხარდაჭერისთვის. წლების განმავლობაში საგასტროლო მუშაობა გვქონდა, რაც დიდ სტიმულს აძლევს თეატრს, რომ განვითარდეს და ახალი სპექტაკლები შესთავაზოს მაყურებელს.

90-იან წლებში, როცა ჩვენ დავიწყეთ თატრის შექმნა და სპექტაკლებზე მუშაობა, მაყურებლის პრობლემა იყო. ჩვენი მაყურებელი ძირითადად სკოლის და საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვები, არიან, სამი ადგილი გამოვუცვალეთ თეტრს, რომ ტექნიკური ბაზა გაგვეუმჯობესებინა და 2014 წელს, მერიის და მეგობრების მხარდაჭერით, ერთ-ერთი საუკეთესო დარბაზი გვაქვს საქართველოში. ამ ეტაპზე თატრი სრულყოფილადაა გამართული. 10 ადამიანი მუშაობს: თატრის დირექტორი, ადმინისტრატორი ქეთევან ქებაძე, რეჟისორი-ლალი კახეთელიძე, მუსიკალური გამფორმებელი ნიკოლოზ ბოლოკაძე, მსახიობები, ეკა ბექაური, ნინო ბარბაქაძე, გიორგი სუხიაშვილი.

- ყველაზე მეტად, რომელი სპექტაკლი მოსწონთ ბავშვებს, რომელი სარგებლობს უფრო მეტი პოპულარობით?

–ასე ვერ გამოვყოფდი, ეს სპექტაკლები გათვლილია საბავშვო ასაკზე, ჩვენს სპექტაკლებში ბავშვებიც გვყავს ჩართული და მათთან კონტაქტი ძალიან მნიშვნელოვანია. ამითაც ვამოწმებთ, რამდენად კარგია სპექტაკლი, მათი ემოცია ერთგვარი საზომია ამის.

- როგორც ვიცი, სამომავლოდ მასშტაბური ფესტივალისთვის ემზადებით, თეატრის გეგმებზე გვასაუბრეთ.

–წელს, ჩვენი თეატრის დაარსების 30 წლის იუბილე უნდა აღვნიშნოთ, გვინდა, რომ ჩატარდეს ხაშურში თოჯინების თატრის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოში მოქმედი საბავშვო თეატრები. ჩვენ გვქონდა ეს ჩანაფიქრი, თუმცა, მაშინ ვერ განვახორციელეთ. ეს იქნება საიუბილეო წელი და ფესტივალი პარალელურად.

ხაშურელ ბავშვებს აქვთ ფუფუნება, ჰქოდეთ თეატრი და ინტელექტუალურად განვითარდნენ, რადგან ყველა სპექტაკლი სიკეთეზეა დ სულიერ ფასეულობებზეა აგებული, გვინდა, უშუალოდ ბიბლიური სწავლებების კუთხით გავაკეთოთ სპექტაკლი, რომელსაც ერთგვარი შემეცნებით-მხატვრული დანიშნულება ექნება და ჩვენი ბავშვების სულიერების ჩამოყალიბება-გაღრმავებას მოემსახურება.

ამჟამად თეატრი, ონლაინ ფესტივალში მონაწილეობს, რომელიც საკმაოდ მასშტაბურია და რემადენიმე ქვეყანითაა წარმოდგენილი. იმედია, ეს ფესტივალიც თეატრის მორიგ წარმატებად იქცევა.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.